

პროექტის ბიულეტენი



პროექტის სათაური

შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება LAP BLACK

BSB00353 LAP BLACK

Interreg



Co-funded by
the European Union

NEXT Black Sea Basin



კლიმატის ცვლილება, მსოფლიო გამოწვევები და საქართველო

ზოგადი ინფორმაცია

დღეს უკვე დადასტურებულად აღიარებული, კლიმატის გლობალური ცვლილება საუკუნის სერიოზულ გამოწვევად არის მიჩნეული. ეს არის მიმდინარე პროცესი, რომელიც მსოფლიო ლიდერების მხრიდან მოითხოვს დროულ, ეფექტურ და თანმიმდევრულ საადაპტაციო-შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, მიმდინარე კლიმატის ცვლილებას კი, პირდაპირ უკავშირებენ ადამიანის სანარმოო საქმიანობას და ინდუსტრიალიზაციას, რომელიც განსაკუთრებით წარმოჩინდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა შესამჩნევი გახდა მსოფლიოში საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, გახშირდა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფები და ა. შ.

მოკლედ ისტორიიდან

კლიმატის ცვლილება, როგორც მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებული სერიოზული პრობლემა ჯერ კიდევ, 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილ პირველ მსოფლიო კონფერენციაზე იქნა აღიარებული. მას შემდეგ გამოიცა არაერთი დეკლარაცია, მოწოდებით მსოფლიოს მთავრობებისადმი, გაეთვალისწინებინათ და თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი კლიმატის ცვლილება. იმართებოდა მთელი რიგი სამთავრობათაშორისი შეხვედრები, რომელიც კონკრეტულად ეხებოდა კლიმატის ცვლილების იმ დროისთვის არსებულ პროცესებს. 1990 წელს, კლიმატის ცვლილების ექსპერტთა საბჭომ გამოსცა პირველი შეფასებითი ანგარიში. 1992 წელს, კი მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წელს და მას იმ დროისთვის ხელი მოაწერა 154 ქვეყანამ. კონვენციის თანახმად, უნდა მიღწეულიყო ატმოსფეროში „სათბურის გაზების“ კონცენტრაციის სტაბილიზაციის დონე, რომელიც არ გამოიწვევდა საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია (COP-Conference of Parties), რომელშიც წარმოდგენილია კონვენციის ყველა ხელმომწერი ქვეყანა.

საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს, ხოლო პირველი ეროვნული შეტყობინება მხარეთა კონფერენციაზე წარადგინა 1999 წელს. მას შემდეგ ქვეყნის მთავრობამ მოამზადა ოთხი (სულ 5 შეტყობინება) ეროვნული შეტყობინება. მხარეთა კონფერენცია (COP) იმართება ყოვეწლიურად და მასში მონაწილეობენ მსოფლიო მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ჯგუფები.

1992 წლიდან დღემდე კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიო დონეზე შემუშავდა არაერთი დოკუმენტი, თუ მიღებულია არაერთი შეთანხმება, რომლითაც ხელმომწერი ქვეყნები იღებენ თავიანთ წვლილ ვალდებულებებს შეამცირონ სათბურის გაზების ემისიები ატმოსფეროში.

კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროცესში, ბოლო დროის ერთერთი მნიშვნელოვანი შეთანხმებაა პარიზის შეთანხმება, რომელიც 2015 წლის 12 დეკემბერს იქნა მიღებული პარიზში, კლიმატის ცვლილების მხარეთა 21-ე კონფერენციაზე (COP-21). რომელზე ხელმოწერითაც 195-მა ქვეყანამ პირველად აიღო ვალდებულება, რომ ეკონომიკური განვითარების პარალელურად:

- შეამცირებს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის გაზების გაფრქვევებს დაბალემისიანი განვითარების გზით;
- შეინარჩუნებს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვას და ტემპერატურის ზრდის 1.5 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვის მცდელობას, წინა ინდუსტრიულ დონესთან შედარებით;
- მოახდენს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან შეგუების (ადაპტაციის) უნარის გაზრდას და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის და სათბურის გაზების დაბალემისიანი განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობას ისეთი გზით, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის საკვების წარმოებას;

პარიზის შეთანხმება საშუალებას იძლევა, თანამედროვე ენერგო დამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით დიდმა და პატარა, განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას, ენერგოუსაფრთხოებას, კონკურენტუნარიან წარმოებასა და მსოფლიოს მდგრად განვითარებას.

პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროცესებში ერთერთი მნიშვნელოვანი შეთანხმებაა, მასზე მიერთებით საქართველომ მიზნად დაისახა ხელი შეუწყოს ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების მართვის სექტორებში თანამედროვე კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიების დანერგვას, მდინარეების კალაპოტებში, თუ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას, მაღალმთიან რეგიონებში წყალ-მოვარდნებისა და ღვარცოფების რისკის შემცირებას, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას და მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დაცვას.

პარიზის შეთანხმება თითოეულ მხარე ქვეყანას ავალდებულებს, უზრუნველყონ თანმიმდევრული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების NDC მომზადება, შეტყობინება და წარმოება, რომლის მიღწევასაც აპირებს. მხარეები ასეთი წვლილის მიზნების მისაღწევად განახორციელებენ შერბილების შიდა ღონისძიებებს.

საქართველო, პარიზის შეთანხმებას 2017 წელს, 8 მაისს ოფიციალურად შეუერთდა და ის ძალაში შევიდა იმავე წლის 7 ივნისიდან.

არსებული კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგები კვლავ დიდხანს განაგრძობს ზიანის მოყენებას თუ არ მოხდება მისი შეჩერება, რისთვისაც უდიდესი ძალისხმევაა საჭირო მსოფლიო მასშტაბით. არსებული პრობლემის მოგვარებაში კი, თითოეული ადამიანის ჩართულობა და ძალისხმევაა საჭირო.

პროექტის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ევროკავშირისა და Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების საგრანტო პროექტს LAP-BLACK BSB00353 „შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“ (Strengthening the local intervention capacities for climate change in the Black Sea Region).

პროექტის LAP-BLACK BSB00353 მიზანია შავი ზღვის რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება კლიმატის ცვლილების შედეგების შესამცირებლად ხაზს უსვამს ტრანსნაციონალური თანამშრომლობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მნიშვნელობას, მათ შორის, ადგილობრივი თემების, ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი ინსტიტუტების.

ეს ერთობლივი მიდგომა ხელს შეუწყობს ცოდნის გაზიარებას, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას და პოლიტიკის გათანაბრებას რეგიონის მონაწილე ქვეყნებს შორის, რაც გააძლიერებს რეგიონულ თანამშრომლობას მდგრადი განვითარებისთვის. ასევე, შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილების შედეგად არსებული მდგომარეობის შესწავლა/ანალიზს, კლიმატის ცვლილების საადაპტაციო ღონისძიებების გეგმის შემუშავებას (მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის), ადგილობრივი და დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობას (საგანმანათლებლო ღონისძიებები), თანამედროვე სტანდარტების მწვანე სივრცეების მოწყობას.


პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ადგილობრივი, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გუნდი, შეიმუშავებს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სამოქმედო გეგმას, რაც მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას დაეხმარება, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების როგორც პრევენციაში, ასევე ეფექტურად გადაჭრის გზის ძიებაში.

კლიმატის ცვლილებასთან ადგილობრივი ადაპტაციის გეგმის (LAP) შემუშავება და შეგუების (ადაპტაციის) მოქმედებების განხორციელება მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებას სხვადასხვა სექტორზე. მათ შორისაა: ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, წყლის მენეჯმენტი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.

პროექტში ჩართულები არიან, როგორც ადგილობრივი მთავრობისა და არასამთავრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას და კოორდინაციის გაძლიერებას რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ერთობლივი გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით. ასევე შესაძლებელს გახდის მომავალში შავი ზღვის რეგიონი გახდეს უფრო მდგრადი კლიმატის ცვლილების მიმართ და თავიდან აიცილოს კლიმატის ცვლილების შედეგად, მოსალოდნელი რისკები.

პროექტით საწყის ეტაპზე დაგეგმილია კონკრეტული (სპეციფიკური) მიზნების შესრულება. მათ შორის, ექსპერტების ჩართვა LAP-ების (ადგილობრივი ადაპტაციის გეგმების) ხელმძღვანელობისთვის (მეთოდოლოგიები, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, კლიმატის ცვლილების რისკების ანალიზი, LAP-ების პრიორიტეტიზაცია/შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება, ანგარიშები); ციფრული ბიულეტენების შექმნა (3 გამოშვება) აქტივობების პროგრესის შესახებ და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტის მიმდინარე ეტაპზე უკვე მოხდა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, კლიმატის ცვლილების ადგილობრივი ადაპტაციის (LAP) 25-წევრიანი გუნდის ჩამოყალიბება და დაიწყო კლიმატის ცვლილების ზეგავლენის წინააღმდეგ LAP გეგმის მომზადება; გაიმართა ორი შეხვედრა კლიმატის ცვლილებასთან ადგილობრივი ადაპტაციის LAP გუნდისა და სამეცნიერო ექსპერტების მონაწილეობით, მოხდა განსახორციელებელი თუ დაგეგმილი საქმიანობების გაცნობა, პროექტის საერთო მიზნების შესასრულებლად; რეგიონში კლიმატის ცვლილების პოტენციური ზეგავლენის განსაზღვრა; კლიმატის ცვლილების საფრთხეების, მოწყვლადობისა და რისკების შეფასების ჩატარება; კლიმატის ცვლილების საადაპტაციო და შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა; მომდევნო შეხვედრებზე მოხდება LAP-ის განვითარების მონიტორინგისთვის მეთვალყურეობის განხორციელება; შესრულებული საქმიანობების საფუძველზე მონაცემთა შეგროვების ტექნიკისა და მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა; მდგრადი პარკის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი და საჭირო რეკომენდაციების მომზადება.



პროექტის ინფრასტრუქტურული ნაწილია ქობულეთში, მჭიდროდ დასახლებულ უბანში, მისამართზე: კაიკაციშვილის ქუჩა, გელაურის დასახლება, 6200, ქობულეთი სარეგისტრაციო მონაცემებით ს.კ. 20 42 10 260, ფართობი - 1238.00 კვ.მ. რეკრეაციული მწვანე სივრცის - "გელაურის მწვანე პარკი"-ს მოწყობა.

გელაურის დასახლებაში მრავალი შეჩერებული საწარმოა, რაც პოტენციურად, ამოქმედების შემთხვევაში გააუარესებს მიმდებარე ტერიტორიების მდგრადობას. ზღვიდან მოშორებული ქალაქის ეს ნაწილი ქალაქის ერთ-ერთი ცხელი უბანია. ახალი პარკის მშენებლობა გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის რეკრეაციულ პირობებს; მეორეს მხრივ, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი სადემონსტრაციო ტექნოლოგიების დაინსტალირება აამაღლებს სკოლის მოსწავლეებისა და ზოგადად მოსახლეობის ცნობიერებას კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნების მისაღწევად.



ქობულეთის დაცული ტერიტორია

Interreg



Co-funded by
the European Union

NEXT Black Sea Basin



პროექტის ინფრასტრუქტურა

LAP ჯგუფისა და ექსპერტების ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნება LAP- (კლიმატის ცვლილების) ლოკალური ადაპტაციის გეგმა, რომლის ფარგლებში:

- შესწავლილი იქნება კლიმატის ცვლილების რისკები და პრევენციის ღონისძიებები;
- შემუშავებული იქნება ანგარიში და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა;
- იდენტიფიცირებული იქნება მოწყვლადი ჯგუფები (ადგილობრივები ვისაც უშუალოდ შეეხო კლიმატის ცვლილება);
- შეფასებული იქნება კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და რისკები შავი ზღვის რეგიონზე;
- შემუშავებული იქნება შავი ზღვის რეგიონზე მორგებული ადაპტაციის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია;
- მოეწყობა ახალი რეკრეაციული მწვანე სივრცე - მდგრადი პარკი;
- ჩატარდება ადგილობრივი ადაპტაციის გეგმის თანამედროვე პრაქტიკასა და ინოვაციებზე დაფუძნებული მონიტორინგი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის შეგროვებული მონაცემები, ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის შედეგები, რომლებიც LAP გეგმაში აისახება, შესაძლოა სახელმძღვანელოდ იქცეს სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც, რათა მათ კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პირობებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი სწორად და ეფექტიანად წარმართონ;
- ადგილობრივი ხელისუფლება LAP გეგმის შესრულებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების, ადგილობრივი ბუნებრივი კატაკლიზმების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით.

კლიმატის ცვლილება და საქართველო

ზოგადი ვითარება

საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში კლიმატის ცვლილების ტენდენციების შესახებ არსებით წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს კლიმატის ცვლილების რამდენიმე ეროვნული შეტყობინების (2015, 2020, 2024 წლები) ანალიზი; მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მასალები; ათეულობით სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაცია და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიში; ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის მონაცემთა ანალიზი; კვალიფიციური ექსპერტების კვლევები და დასკვნები, დაკავშირებული საქართველოს მდგრად განვითარებასთან (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, გეოდინამიკური (სტიქიური) პროცესები, ტყეები და ბიომრავალფეროვნება, ეკონომიკა, ადამიანის ჯანმრთელობა, შავი ზღვის სანაპირო ზოლი და სხვ.).

არსებულ შეტყობინებებში მოცემულია, კლიმატის ცვლილების ტენდენციები და შეფასებულია, როგორც განვლილი პერიოდი (1960-იანი წლებიდან მოყოლებული), ასევე მიმდინარე პროცესების განვითარების მოსალოდნელი სცენარები, ძირითადად 21-ე საუკუნის შუა პერიოდის და ამავე საუკუნის ბოლოსთვის. კლიმატის ცვლილებას და მისი შესაძლო განვითარების ტენდენციებს ჯეროვნად წარმოაჩენს ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების ანალიზი, ასევე ქარის სიჩქარის და ფარდობითი ტენიანობის (სინოტივის) ანალიზი.

დადგენილია, რომ გასული საუკუნის შუა პერიოდიდან, დღემდე საშუალო წლიური ტემპერატურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ მატების ტენდენციას ავლენდა (ნაზრდი +0.6+0.8 გრადუსი) და მისი მაქსიმალური ნაზრდი აღმოსავლეთ საქართველოში +0.70C (დედოფლისწყაროში), ხოლო დასავლეთ საქართველოში +0.60C (ფოთში) შეადგენდა. მომავლის პროგნოზით 2050 წლისათვის, ყველაზე მეტად აჭარის სანაპირო ზოლი და მთიანი რეგიონები დათბება (1.6-1.7 0 C), ხოლო 2100 წლისათვის ტემპერატურის უდიდესი ნაზრდი (+4.2 0 C) ბათუმშია მოსალოდნელი.

ნალექთა წლიურმა ჯამებმა იგივე პერიოდში ყველაზე მეტად სვანეთის დაბალ-მთიან ზონასა და აჭარის შუა მთიანეთში მოიმატა (+14%). ზოგადად დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში ნალექების მატება მოხდა, აღმოსავლეთში კი 6-8%-იანი კლება.

პროგნოზის თანახმად, 2050 წლამდე, დასავლეთ საქართველოში ნალექთა მატების მდგრადი ტრენდებია მოსალოდნელი, რის შემდეგაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყება მათი შემცირება, რაც 2100 წლისათვის 10-20% შეადგენს.

ჰაერის ფარდობითმა სინოტივემ, 1961-2010 წწ. პერიოდში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაახლოებით 2%-ით მოიმატა, თუმცა 2050-2100 წლებისათვის მოსალოდნელია ამ ტრენდის დაღმავალი მიმართულებით შეცვლა, გარდა რამდენიმე გამონაკლისი სადგურისა (მესტია, ხაიში, ქედა).

ქარის საშუალო წლიურმა სიჩქარემ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად დაიკლო და პროგნოზის თანახმად, ეს კლება საუკუნის ბოლომდე გაგრძელდება.

განვლილი პერიოდის მეორე ნახევარში (1986-2010 წწ.) ყინვიანი დღეების რაოდენობის შემცირებას ადგილი ჰქონდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ზემო და ქვემო სვანეთის რაიონებისა.

პროგნოზის თანახმად საშუალო ტემპერატურის, ძალიან ცხელი დღეებისა და ტროპიკული ღამეების ზრდასთან ერთად, საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები ძირითადად მხოლოდ მთიანი ტერიტორიებისათვის იქნება დამახასიათებელი.

ცალკეული თვეების ანალიზმა აჩვენა, რომ დათბობა მიმდინარეობს უმთავრესად ივნის-ოქტომბერში, ტემპერატურების მატების ხარჯზე. მაქსიმალური დათბობა ფიქსირდება აგვისტოში, 1.15 0C–1.570 C ფარგლებში. დათბობა აღინიშნება იანვარ–თებერვალშიც (0.27 0C -0.69 0C). ნოემბერ დეკემბერში ყველა მხარეში არის აგრილება, ყველაზე მეტად გურიასა (0.460 C) და აჭარაში (0.450 C). აპრილ–მაისში საშუალო ტემპერატურების ცვლილება უმნიშვნელო და შედარებით არამდგრადია.

ნალექების რაოდენობის აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია ძირითადად იანვრის თვეში უხვნალექიანი დღეების გახშირებასთან. დასავლეთ საქართველოში: შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობსა და მიმდებარე მთიან რაიონებში. დასავლეთ საქართველოში, ასევე აღინიშნება გადაბმულად ნალექიანი პერიოდების გახანგრძლივება (მაქსიმალური 5-6 დღით).

ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, წლის ყველა სეზონზე დაახლოებით 1-2 მ/წმ-ით. აღსანიშნავია, რომ დაკვირვება მოხდება ყველა იმ რეგიონში, (მთა საბუეთი, ფოთი), სადაც ქარის ატლასში ქარის ენერგეტიკის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიულ ადგილებად ითვლება.

ორი 30 წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) პერიოდის შედარებით 1971–2000 წლების 30 წლიან პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის.

სცენარის თანახმად, საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლებში 1971–2000 წლებთან შედარებით, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.60 C-დან 3.0 C-მდე ფარგლებში გაიზრდება. 2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.40 C -1.70 C -ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.10 C 3.70 C ფარგლებშია მოსალოდნელი.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით შემცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი, საგარეჯოში (5.3%). 2071-2100 წლების პერიოდში 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% -ის ფარგლებში. ზამთრის შერბილება უფრო მეტად მინიმუმების დათბობის ხარჯზე ხდება. აბსოლუტური მინიმუმები რიგ რაიონებში (კოლხეთის დაბლობი, დედოფლისწყარო) 4-5 გრადუსით არის დამთბარი.

დასკვნა

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების სამოქმედო გეგმა დროულ და ეფექტურ შემუშავებას მოითხოვს, რაც გარკვეულ წილად განსაზღვრავს მოსალოდნელი რისკების შემცირებას .

სწორედ, ამ მიზანს ემსახურება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტი „შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება (LAP BLACK BSB00353)“. პროექტის ფარგლებში რეგიონისთვის შემუშავებული/შესწავლილი კლიმატის ცვლილების შედეგად არსებული მდგომარეობა და ანალიზი, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და საადაპტაციო ღონისძიებების გეგმა, ადგილობრივი და დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობა, თანამედროვე სტანდარტების მწვანე სივრცეების მოწყობა, შესაძლებელს გახდის მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ის რისკები, რაც კლიმატის ცვლილების შედეგადაა მოსალოდნელი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბევრი მნიშვნელოვანი კვლევა და ანალიზი, რომელთა შესახებაც სრული ინფორმაცია იქნება მიწოდებული რეგიონის მთავრობისათვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

გამოცემის შესახებ

გამოცემის რედაქტორი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
ა(ა)იპ მწვანე რეგიონები

საკონტაქტო ინფრომაცია სარედაქციო ჯგუფის

ქ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას 76;
Email : greensregion@gmail.com Tel: +995 99532611
ფესიბუკი: Green Regions/მწვანე რეგიონები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი #.141
ქობულეთი 6000 საქართველო
ელ-ფოსტა: kobuletimunicipality@gmail.com
nchkhetia77@gmail.com
ტელეფონი: +995 599090457

პროექტის სათაური

**LAP BLACK BSB00353 „შავი ზღვის რეგიონში
კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი
ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“
(Strengthening the local intervention capacities for
climate change in the Black Sea Region)**

პროექტის პარტნიორები

სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი),
საქარიას მეტროპოლიტან მუნიციპალიტეტი
(თურქეთი), კავალას მუნიციპალიტეტი (საბერძნეთი),
უკრაინის ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრების
ასოციაცია (ქ.მიკოლაევი, უკრაინა)



Istanbul
Technical
University
(ITU)



Sakarya
Metropolitan
Municipality (SMM)



Kobuleti
Municipality
City Hall
(KMCH)



Kavala
Municipality
(KAVALA)



Ukrainian
Association of
Business Support
Centers (UABSC)

გამოცემის თარიღი

2025, 5 სექტემბერი

Interreg



Co-funded by
the European Union

NEXT Black Sea Basin





Interreg NEXT შავი ზღვის აუზის (BSB) პროგრამა ფინანსდება ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (ERDF), სამეზობლოს, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI) და წინასწარ დახმარების ინსტრუმენტის (IPA) ფარგლებში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და დაბალანსებული განვითარების პოლიტიკის ჩარჩოში.

პროგრამის თანამშრომლობის არეალი მოიცავს შვიდი ქვეყნის მთელ ან ნაწილობრივ ტერიტორიებს, მათ შორის ევროკავშირის სამ წევრ სახელმწიფოს (ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი) და ოთხ არაწევრ ქვეყანას (საქართველო, მოლდოვა, თურქეთი, უკრაინა).

ამ მასალის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორ(ებ)ს. წარმოდგენილი ინფორმაცია და მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას. მასალის გამრავლება ნებადართულია წყაროს მითითების და განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი აღნიშვნის შემთხვევაში.

Interreg



Co-funded by
the European Union

NEXT Black Sea Basin

